ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2759051

ნომერი: AR1429080

თარიღი : 03.08.2016

გაცემის თარიღი : 04.08.2016

გაცნობის თარიღი : 04.08.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი II , მე-16 კორპუსის მიმდებარედ (ნაკვეთი 11/030)/ ქალაქი თბილისი , ვაზისუბნის III მ/რ, II კვარტალი, კორპუსი N16--ის მმიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქადირ უნგან პ/ნ 01691006822
- დიღომი 7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ღობის მშენებლობის ნებართვას. საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნული ღობის მშენებლობა დაგეგმილი გაქვთ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით და ამავე დროს გაცემულია №2716215 ბრძანება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნული პროექტის მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, მშენენლობის ორგანიზების პროექტი, უსაფრთხოების მიზნით თავისთავად უნდა მოიცავდეს დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობას ამიტომ თქვენს შემთხვევაში დამატებით ნებართვის გაცემას არ საჭიროებს, მაგრამ მისი მოწყობა შესაძლებელია მხოლოდ მშენებლობის ნებართვის მიღების შემდგომ და მისი განთავსება უნდა განხორციელდეს მშენებლობის ორგანიზების პროექტის გენ– გეგმის მიხედვით (დამკვეთი ვალდებულია სრული საპროექტო დოკუმენტაცია , მათ შორის მშენებლობის ორგანიზების პროექტი იქონიოს სამშენებლო მოედანზე) . ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიისგან დამოუკიდებლად, როგორც I კლასის დროებითი ღობის მშენებლობაზე ვერ გასცემს შესაბამის წერილობით თანხმობას და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.